ა ნ გ ა რ ი შ ი

(აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ)

2017 წლის პერიოდში დეპარტამენტმა უზრუნველყო შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

ა) დეპარტამენტის სამუშაო გეგმის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, მომზადებულ და მთავრობაში განსახილველად იქნა წარდგენილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების პროექტები. ასევე, დეპარტამენტში შემოსულ წერილებთან და პროექტებთან დაკავშირებით, მომზადებულ იქნა შესაბამისი პასუხები და წინადადებები **(დანართი 1);**

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა და შესაბამისი **(26 დადებითი და 12 უარყოფითი)** პასუხი გაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებიდან შემოსულ ნორმატიული აქტების პროექტებს, ხოლო, ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად უზრუნველყოფილ იქნა სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის **24 დადგენილებისა და მინისტრის 4 ბრძანების** გამოქვეყნება **(დანართი 2)**;

გ) უზრუნველყოფილ იქნა 2017 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რეესტრის წარმოება **(დანართი 3);**

დ) საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში სათანადო წერილობითი რეაგირება განხორციელდა არაერთ წერილობით განცხადებაზე. ამასთან, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიათ ზეპირი სახის სამართლებრივი კონსულტაციები, მომზადებულ იქნა შესაბამისი დოკუმენტაციები (სასარჩელო განცხადება) სასამართლოში წარდგენის მიზნით **(დანართი 4);**

ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან შემოსული მასალების განხილვის საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნა პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიმღებ პირებზე ფოტოიდენტურობის დადასტურება და საცხოვრებელი ადგილის დადგენა. საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი 64 განცხადებიდან კომისიის დასკვნით 35 პიროვნებას დაუდასტურდა ფოტოიდენტურობა, ხოლო 9-ზე გაცემულ იქნა უარყოფითი პასუხი. საგულისხმოა, რომ კომისიის წევრად შეყვანილ იქნა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ა/რ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი ზვიად ზვიადაძე;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინიციატივების განხორციელების ფარგლებში დეპარტამენტში ყოველკვირეულად მზადდებოდა ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ, რომლის ხელმისაწვდომობის მიზნით, დეპარტამენტის ვებგვერდზე დამატებულ ფანჯარაში - სახელწოდებით ,,ანალიტიკა“, განთავსებულ იქნა დეფაქტო

აფხაზეთთან დაკავშირებული ,,პუბლიკაციები“, ,,დეფაქტო აფხაზეთი მასმედიაში“ და ,,ანგარიშები“ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენების, ადამიანის უფლებების დარღვევის, პასპორტიზაციისა და ეკოლოგიური პრობლემების თაობაზე. აღნიშნულ გვერდზე განთავსებულ იქნა ოფიციალური ვებგვერდების ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა ინფორმაციების გამოქვეყნება. რეგულარულად ითარგმნებოდა და ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდებოდა ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი სამოქალაქო სექტორის მიერ გამოქვეყნებული სტატიები ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე და უცხოელი ექსპერტების მიერ გამოქვეყნებული ანალიტიკური პუბლიკაციები ოკუპირებული აფხაზეთში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეების შესახებ;

ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის მიზნით, არსებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე სისტემატურად ხორციელდებოდა დეპარტამენტის ვებგვერდის განახლება, რომელზეც ელექტრონული ფორმითაა განთავსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი ნორმატიული აქტების კონსოლოდირებული ვერსიები. ამასთან, აფხაზეთის ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობისა და სამართალშემოქმედების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფილ იქნა ბეჭდური სახით ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის კონსოლიდირებული ვერსიის გამოცემა **(დანართი 5);**

თ) აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა იურიდიული სამსახურების წარმომადგენელთათვის, საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სამართლებრივ საკითხებზე ჩატარდა სარეკომენდაციო ხასიათის ღონისძიებების (ტრენინგები, სემინარები და სხვ.) (2017 წლის 23 თებერვალს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო მოხელეთათვის ჩატარდა ტრენინგ-სემინარი თემაზე: „ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები საჯარო მოხელეთათვის“; მიმდინარე წლის 28 მარტს, აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო მოხელეთათვის ჩატარდა ტრენინგ - სემინარი თემაზე: „კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი მექანიზმები“.

2017 წლის 9 ივნისს, აფხაზეთის ხელისუფლების დაწესებულებათა იურიდიული სამსახურების წარმომადგენელთათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა „ნორმატიული აქტების შესახებ“აფხაზეთის კანონში შეტანილი ცვლილებები (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის 25 მაისის N 243 კანონი) და დევნილთა სოციალურ-სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წინადადებები. 2017 წლის 28 ივნისს, საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლების მონაწილეობით, აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საჯარო მოხელეთათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები);

ი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმის განვითარების მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ა/რ არქივის სამმართველოს მიერ უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებების არქივების ორგანიზაციის მეთოდიკური დახმარების გაწევა და საარქივო საქმიანობის კოორდინაცია. მიღებულ იქნა დოკუმენტაცია საარქივო ფონდში **(დანართი 6);**

კ) ახალგაზრდა, პროფესიული კადრების მომზადების მიზნით, დეპარტამენტმა უზრუნველყო სტაჟიორ/პრაქტიკანტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად სათანადო პირობების შექმნა. მითითებულ პერიოდში სტაჟირება

გაიარა 3 სტაჟიორმა; 8 პრაქტიკანტმა, დღეისათვის სტაჟირებას გადის 8 სტაჟიორი და სასწავლო პრაქტიკას გადის 1 პრაქტიკანტი;

ლ) სისტემატიურად ხორციელდება დეპარტამენტში შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია, ასევე, შემოსული კორესპონდენციის შემსრულებლებისათვის დროული მიწოდება და ვადის კონტროლი.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტში დოკუმენტბრუნვამ სულ შეადგინა 1121 (ათას ას ოცდაერთი) ერთეული,

მათ შორის:

- შემოსული - 373 (სამას ორმოცდაათი);
- გასული - 417 (სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი);
- შიდა მიმოწერა - 390(სამას სამოცდათოთხმეტი).

დადგენილი წესის შესაბამისად, მომზადდა დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების, გათავისუფლების, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების, შვებულებისა და მივლინების შესახებ 117 (ას ჩვიდმეტი) ბრძანება; ადმინისტრაციული ხელშეკრულება 4 (ოთხი); შრომითი ხელშეკრულება - 6 (ექვსი).

მ) საბუღალტრო – საფინანსო საქმიანობის კუთხით:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში დარეგისტრირებულია:

-775 საგადახდო მოთხოვნა;

- 56 სახელფასო პაკეტი და უწყისი;

- 207 ვალდებულების დოკუმენტი.

– სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალზე აიტვირთა 66 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და შესყიდვების ხელშეკრულების მიმდინარეობის CMR მოდულზე ატვირთულია შესაბამისი შესყიდვის განხორციელების და ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები. სულ იანვრიდან დარეგისტრირებული ხელშეკრულებებიდან 6 წლიურ ხელშეკრულებაზე მიმდინარეობს მონაცემთა ყოველთვიური მონიტორინგი და მათ ფარგლებში განხორციელებული ანგარიშსწორების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტის ატვირთვა.

– აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ვადების დაცვით წარდგენილია 2018-2021 წ.წ. საბიუჯეტო განაცხადი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისტემატიურად ხორციელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის განახლება-განთავსება, ვიდეო– და ფოტო–ფირზე აღბეჭდვა.